

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, წინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: სასწავლო კურსები - ძირითადი სპეციალობა major -168 კრედიტი, სპეციალობის ძირითადი არჩევითი კურსები - 12 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა ან/არჩევითი კურსები 60 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა 25 სთ).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა საქართველოს ფლორისა და ფაუნის გენეტიკური, სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების, პოპულაციების დაცვა- კონსერვაციის, თანასაზოგადოებების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების, ცოცხალ ორგანიზმთა უჯრედული, ქსოვილური და მოლეკულური ორგანიზაციის, გარემოში მიმდინარე ქიმიური პროცესების მრავალფეროვნების, ანთროპოგენური ფაქტორების (რადიაციული, ქიმიური და სხვა) ბიოსფეროზე ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების შემცირებისა და გენომის სტაბილობის დარღვევის) და გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების შესახებ.
სწავლის შედეგები	პროგრამის თვისების შემდგომ კურსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა საქართველოს ფლორისა და ფაუნის გენეტიკური, სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელების, ცოცხალ ორგანიზმთა თანასაზოგადოებების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების, გარემოში მიმდინარე ქიმიური და ფიზიკური პროცესების მრავალფეროვნების, ანთროპოგენური ფაქტორების ბიოსფეროზე ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ. პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობის, სასწავლო/საველე და საწარმოო პრაქტიკების გავლის შემდეგ ექნება, მცენარეთა და ცხოველთა სახეობათა იდენტიფიკაციის, პროფესიულ გარემოში ადაპტირების, გარემოს მდგომარეობის შეფასების (მათ შორის რადიაციული კონტროლისა და ეკოლოგიური მონიტორინგის მეთოდების გამოყენების) უნარი. შეეძლება ანთროპოგენური ფაქტორების ცოცხალ სამყაროზე ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების პროგნოზირება, შეფასება და მარტივი დასკვნის გაკეთება.
შეფასების წესი	საბოლოო შეფასება - 100 ქულა განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A B C D E FX F ECTS - შეფასება A ფრიადი - 91 ქულა და მეტი; B ძალიან კარგი - 81-90 ქულა; C კარგი - 71-80 ქულა; D დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; E საკმარისი - 51-60 ქულა; FX ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა; F ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: დავით ბარათაშვილი , პროფესორი ტელ. (+995) 577465454 ელ-ფოსტა. baratashvili.daviti@bsu.edu.ge